


ამერიკული სამხედრო

უკანასკნელ ხანს ატომური ომის პროპაგანდა დაიწყო არა მარტო ამერიკელმა გენერლებმა რედ-ფორდმა, გრიუნტერმა, სტივენსონმა, არამედ ლაპარაკის მოყვარულმა ინგლისელმა ფელდმარშალმა მონტგომერიმაც.

გაზეთებიდან



გენერლები დაჰკიდეს ხმაგაბზარულ ზარებად უნდათ ამერიკიდან ომის ზარი დარეკონ; რეკონ ხანამ ზარის ხმა თვით არ შეეზარება სამხრეკლოდან ზარებიც იქნებ რეკვით ვარეკ



ეს ამბავი მოხდა ერთი წლის წინათ. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ბუხჰალტერიის უფროსმა საფინანსო რევიზორმა პეტრე მიშინმა, შრომის, ხელფასისა და უშიშროების ტექნიკის განყოფილების უფროსმა ინჟინერმა ვსევოლოდ ნოსოვმა, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საფინანსო სექტორის უფროსმა ინჟინერმა ვართან მელიქსტეპანოვმა და ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების ყოფილმა რევიზორ-ბუხჰალტერმა ლუბა ფრანგიშვილმა შეადგინეს „ესე აქტები“ და ჩაკეტეს. აევსოთ აქტებს მოთმინების ფიალა და დამტვერიანებულნი ჩვენთან გამოცხადდნენ:

— ჩვენც კაცნი ვართ, ქუდი გვხურავს, სალაპარაკო ბევრი გვაქვს, მაგრამ პირი წყლითა გვაქვს სავსე, დაგვეზიარო.

და ჩვენც, მკითხველს ზოგიერთ რამეს ვუამბობთ ამ აქტების ვინით, დანარჩენს თვითონ მიხვდება.

ერთ-ერთი აქტი გვაცნობს მშენებლობის ოსტატის კ. ლომიას „ოსტატობას“ ფიქტიური აქტების შედგენაში. ჩავხედოთ თუნდაც № 2 ფორმასა და № 663 უწყისს. აქტში აღნიშნულია, რომ კ. ლომიას ბრიგადამ 3173 მანეთის სარემონტო სამუშაო შეასრულა. თანხა დახარჯულია, შესრულებული სამუშაოები არა ჩანს.

— ჩემს მეგობრებს რომ ალაპარაკებთ, მეც მათქმევივით ცოტა რამე,— გვითხრა აქამდე გაჩუმებულმა აქტმა და

დაიწყო: „ალბათ გინახავთ ვახუშტისა და ბათუმის ქუჩებზე წამოჭიმული რკინიგზის სახლები. ჩატარდა მათი რემონტი. მაგრამ კ. ლომიამ ისე გაბერა, ისე გაბერა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, რომ მათი ღირებულება 10 ათას მანეთს გადაახტუნა. უმაღლესადგინა ოთხი უწყისი 8 მუშის სახელზე და 4.638 მან. და 46 კაპ. გასცა... უკანონოდ.

— რაღა ლომიას ჩააცივდით, მის გვარს მაინც ეციოთ პატივი. ლომიაკაცმა რომ სხვებზე ცოტა მეტი შექაძოს, ნუ გაგვიკვირდებათ. მე ის მიკვირს. მშენებლობის ყოფილმა ოსტატმა გ. მაქავარიანმა როგორ აჯობა მაგასო,— გვითხრა ცოტა არ იყოს გაბრაზებით სხვა აქტმა და ყურის დაგდება გვთხოვა.

„გ. მაქავარიანმა პლენანოვის კლუბის რემონტის დროს ვინმე ოვანესოვის ბრიგადას მარტო ტრაფარეტების დამზადებისათვის 41.019 მანეთი და 10 კაპ. გამოუწერა. როდესაც ჩემი შემქმნელები მის ხელმრუდობას ამოწმებდნენ, გ. მაქავარიანმა ვერ შესძლო ეჩვენებინა შესრულებული სამუშაოები. ან როგორღა მოახერხებდა, როცა ამდენი თანხით დამზადებული ტრაფარეტები 10 ასეთ კლუბს ეყოფოდა?

— ეს რა ვაქაცობაა. სულ უმცროსებს ურტყანთ, უფროსებზე კი არაფერს ამბობთ,— თქვა მომდევნო აქტმა. მე კი მგონია ისინი ამდენს ვერ გაბედავდნენ ხელშეწყობნი რომ არ ჰყავდეთ, თუნდაც დისტანციის მთავარი ბუხჰალტერი მ. ფოცხვერაშვილი და ბუხჰალტერი ნ. ხოჯაბეკოვა.

ჩვენ სხვა რამეზეც გვინდა ვილაპარაკოთ. მაგალითად საშტატო ერთეულებზე. — წამოიშარტნენ სხვა აქტები. ერთ-ერთმა მათგანმა სხვებს დაასწრო და გარკვევით თქვა: „ე. ვ. რუხაძე ფაქტიურად სახლმმართველის თანამშემწედ მუშაობს, მაგრამ გაფორმებულია როგორც ბრიგადირი და ხელფასი 500 მანეთი აქვს. 1953 წლის პირველი იანვრიდან 1954 წლის პირველ თებერვლამდე მას მიღებული აქვს 6.553 მანეთი და 85 კაპ. მაშინ, როდესაც ამის ნახევარიც არ ერგებოდა.

— დისტანციის უფროსი პატივცემული მანჯგალაძე პრესის მოყვარული კაცია. მას თითქმის ყველა ჟურნალი და გაზეთი აქვს გამოწერილი... სახელმწიფოს ხარჯზე. ეს სწორია? ეს სამართლიანობაა? — წამოიძახა მომდევნო აქტმა.

აქ წვრილმანებზე იყო საუბარი, ჩვენ უფრო მსხვილმანებიც ვიცითო,— ახმაურდნენ დანარჩენი აქტები.

ჩვენ იძულებული გავხდით დაგვემზვიდებინა ისინი. აღვუთქვით, რომ ყველაფერს ვიტყოდით, სადაც ჯერ არს. და გაჩუმდნენ.

ჩვენც გავჩუმდებით. მარტო ორიოდ სიტყვას დავუმატებთ აქტების ნათქვამს. გვითხრეს, რომ დისტანციის უფროსი მანჯგალაძე საერთოდ უხეირო კაცი არ არის, მაგრამ საქმეს ცოდნა უნდა, რაც მას არ გააჩნიაო. იგი თურმე კავშირგაბმულობის ტექნიკოსია, ინჟინრობისა კი, და ისიც მშენებლობის დარგში, ძალიან ცოტა... თითქმის არაფერი გაეგებო.

შეიძლება აქტები „გაჩუმდნენ“, მაგრამ ის გვიკვირს, რამ გააჩუმა ამდენი აქტების შემდგენელი რევიზორები, ხომ არ მართლდება ყურს ჩაწვეთებული ხმები... აქტების შედგენის შემდეგ მანჯგალაძე დასასვენებლად მიემგზავრებოდა შავი ზღვის სანაპიროზე, მას არაჩვეულებრივი გაცილება მოუწყეს, ბოთლებს ძირებს უკოცნიდნენ და საღმრთოებლების თქმისას პატივცემული რევიზორებიც არ დარჩნენ ვალშიო.

ნახ. ო. მახინაბი



განაფხულს დაასწრო — ძილშიაც აკვავდა!

მმართველს დღეს აქვს მიღება,
კარი მაინც არ იღება.



მთავრები მღერის „პარალოს“,
დანახარჯს აწერს სალაროს,



„დიდაკს“ გაუტყდა კალამი,
მერე იკადრა სალამი.



ტრესტმა მთავრები შესცვალა,
მოლარეს ფერი ეცვალა.



დირექტორს მაშინ ეცლება.
ხკამი რომ გამოეცლება.



შვილები — ჩვენი აღზრდა რომ მხოლოდ დედას
მიანდ, რატომ ჩვენთვის არაფერს წერ, მამიკო?
მამა — მე დიდებისათვის ვწერ, შვილებო...
დედა — დიდებისათვის?! რა ორასროვნად ელაპარაკები
ბავშვებს... როგორ შეიძლება!..

ამოცანების *კამოცანა*

გამოცანის პირობა მუდამ თავსატეხი და ძნელად ამოსაცნობია. ხან ათსკამზე თორმეტი კატა ისე უნდა მოათავსო, რომ თითო სკამზე მხოლოდ ერთი იჯდეს; ხან ექვსი თევზი ოცდაათ კაცზე ისე უნდა გაანაწილო, რომ თითოს თითო კუდი შეხვდეს (მოგეხსენებათ, თევზს მხოლოდ ერთი კუდი აქვს!). მათ ამოსახსნელად უფრო მეტი მოხერხებულობა და კვლამხეობაა საჭირო, ვიდრე ზუსტი არითმეტიკა.

გამოცანის ამოხსნისათვის ამომხსნელს ქალაქებს ჰპირდებიან, ზოგჯერ მთელ ქვეყნებსაც (ასეთია თამაშის პირობა!).

ყველაზე კარგი ის გამოცანაა, რომელიც ყველაზე ძნელი და თავსატეხი ამოსახსნელია, თორემ თორმეტ საწოლზე თორმეტი კაცი მომითავსეო, ამ გამოცანას შეიძლება ვის ბავშვიც მიხვდება.

აბა, სცადეთ და ცხრა საწოლზე თორმეტი კაცი მოათავსეთ?.. არ დაიფიქსოთ, ერთ საწოლზე ერთი კაცი ძლივს ეტევა. ვერ ამოხსენით? მაშინ მოდით და საკონსულტაციოდ ტყვარჩელნახშირის № 4 შახტის საერთო საცხოვრებელს ვეწვიოთ. ამ საერთო საცხოვრებლის № 21 ოთახში ცხრა საწო-

ლი იდგა, ჩასახსნელად კი თორმეტი კაცი გამოაგზავნეს.

რა უნდა ექნა საერთო საცხოვრებლის კომენდანტს წულაიას?.. გაწელე და გამოწელე, ცხრა საწოლი—ცხრა საწოლია. მათი არც დაყოფა შეიძლება, არც გაყოფა; არც გამრავლება. ამ საქმეს მხოლოდ ახალი საწოლების მიმატება შეელოდა, მაგრამ რატომღაც ტყვარჩელნახშირის № 4 შახტის ხელმძღვანელობამ თავი არ შეიწუხა ახალი საწოლების ყიდვით და თორმეტი კაცის ცხრა საწოლზე მოთავსება წულაიას ნიჭსა და მოხერხებას მიანდო.

წულაიამ ბევრი იფიქრა, დიდხანს თავი იმტვრია. უცებ, ერთმა ბრწყინვალე აზრმა გაუნათა გონება და სრულიად უბრალოდ გადაწყვიტა ეს თავსატეხი გამოცანა: სამ საწოლზე, სათამაშო ქალაქზე გამოსახულ ზურგშექცეულ „ვალეტებივით“ ჩაალაგა ექვსი მეშახტე, ხოლო დანარჩენ ექვს საწოლზე თითო-თითო მოათავსა.

წულაიამ სხვა მხარეც განსაზღვრა: მეშახტეებს შორის პროტესტი და უკმაყოფილება რომ არ ყოფილიყო, მათი გვარების აღფაბეტს დაჰყვა: **ქ** (კულნჩევი)—**ს**-სთან (სერგეევკო) დააწვინა, **ს** (სკოლზნევი)—**ქ**-სთან (კოშევი) მოათავ-

სა, ხოლო რიეკოვი და ცელნიხი, როგორც კარგი მეგობრები, საწოლშიც არ დააშორა ერთმანეთს.

ყოველდღიური, გმირული შრომის შემდეგ რომ მოისვენონ და ახალი ენერგია დააგროვონ, ამის ნაცვლად, სალამობით საერთო საცხოვრებლის № 21-ში მყოფი მეშახტეები ერთმანეთს საწოლის ფართობს ეცილებიან. ერთი თუ მუხლს გამართავს, მეორე ნახევრად იატაკზე იმყოფება. ერთი თუ ძილში გადაბრუნდება, მეორე მთლიანად იატაკზე აღმოჩნდება.

რა იქნებოდა, ტყვარჩელნახშირის № 4 შახტის მმართველებს სხვა შახტებისათვის მიებაძათ, სადაც საერთო საცხოვრებლები სანიმუშოდ აქვთ მოწყობილი, სადაც მეშახტის დასვენებას ხელს არაფერი უშლის, სადაც სანიმუშო წესრიგია და შესანაშნავი მორთულობა.

როგორც დანახეთ, ჯერჯერობით კვლავ გადაუწყვეტელია გამოცანა თორმეტი კაცის ცხრა საწოლზე მოთავსების შესახებ. ხოლო ამ გამოცანის ტყვარჩელისებურად ამოხსნისათვის ერთ პატარა სოფელსაც არ მისცემდნენ თორმეტი წლის ბიჭუნას!..

გ. სიმონიშვილი


ნახ. ა. კანდელაკისა



სურათები ამ კინოთეატრში ყოველდღე იცვლება, — ეს სურათი კი კინოთეატრებთან უცვლელია.

ჩამკვეთი მომხმარებელი

ნახ. თ. ქაქიაშვილისა



— რა ხაზინელი ხუნი უღის ამ შენს დამკვეთს..

— სამაგიეროდ, ხომ ხედავთ როგორ კულტურულად გემსახურებით, ას გრამ ყველს ხუთასგრამიან ქალაქში გიხვევთ... რომ გზაში ხუნმა არ შეგაწუნოს...

აბაზი

შარშან გაზაფხულზე, როცა ათიოდე დედა ღორმა ასიოდე კრელ-კრელი გოჭი გამოფინა სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის ეზოში, არუთინ გეურქოვი ცას დაეწია. მან პირთან მიტანილი ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა და წამოიძახა:

— აი, მესმის ცხოველი! თუ გამომიყვანს წელს, ისევ ღორი გამომიყვანს, თორემ ჩვენი ძროხების იმედით შორს ვერ წავალ! — და ასი გოჭის სადღეგრძელოდ ერთი ჭიქა არაუკიდევე ზედმეტად გადაჰკრა.

იცის გეურქოვმა. იგი გარდაბნის რაიონის სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობას ტყუილად ხომ არ თავმჯდომარეობს? ძროხებში, აბა, „რა ყრია?“ თითო ხბოს მოიგებენ, უარე არუთინ, უფინე ჩალა-მარცვალი, არ დააჯანდაგო; გამოზარდე და თანაც რძე დროზე ჩააბარე!

— არა, ძროხა ხათაბალა რამეა! აი, გოჭი სულ სხვა არის: არც მოწველაო არც ჭამაზე განაზებო, არც მოვლა და არც აღერსი. ორმოც დედა ღორს გამოუშვებ, ხედავ, ოთხასი გოჭი მოუგია!.. თვალე, არუთინ, შენ კრიალოსანი ათამაშე, გოჭი თვითონ გაიზრდება! ჰაი, თუ გავრეკავთ თბილისისკენა!..

— თბილისი რა შუაშია, ამხანაგო არუთინ? ჩვენ ხომ გეგმა გვაქვს, სახელმწიფოს ხომ 33 ცენტნერი უნდა ჩავაბაროთ, სანაშენო ხომ უნდა გამოვზარდოთ და რაც დარჩება...

— თავს ნუ იგდებ, — დატუქსა გეურქოვმა ფერმის გამგე, — სახელმწიფო მოიცდის, ჯერ ბაზარზე გავასალოთ, ვნახოთ რა მოგვრჩება, რამდენი დაკოქლდება, ან ღოკი გაუჩნდება, ავილოთ და ის ჩავაბაროთ!

— კი მაგრამ, სახელმწიფო გეგმა ხომ...

გეურქოვმა აღარ დაამთავრებინა, თვალებით „შეკამა“ ფერმის გამგე, დატუქსა, მოხსნით დაემუქრა.

— იცი რა გითხრა? აქ ჭკუას ნუ მასწავლი, მითქვამს — განიკეთებია, დამიკლავს — გამიყიდნია, იცი რა არი თონეში შენწვარი გოჭი?

აბა, გეურქოვის ასეთ „არგუმენტებს“ წინ რა დაუდგებოდა? თქვა და გოჭებს დღე დაუბნელდათ. რამდენი შეიწვა. რამდენი გაიყიდა, არ ვიცით; ალაღმა ციფრებმა კი მხოლოდ ის გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს 33 ცენტნერის ნაცვლად 25,5 ცენტნერი ცოცხალი წონის ღორები ჩაბარდა. აქედან კოქლი და ბრუ ტიანიც — საკმაოდ...

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ულიანოვკის კოლმეურნეობის მელორეობის ფერმა მთლიანად გაჩანაგებულიყოს. პირიქით, არუთინას თავი მოჰქონდა — ღორებს ვუვლიო... ქალაქზე ლამაზ-ლამაზი პატაკები გამოჰყავდა, ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობდა „სალორეებზე“, რომლებიც დღესაც ფარლალაა, ტალახითა და სიბინძურით გადავსილი, (არ გააჩნიათ საკვებურები და ჯანდაგ ღორებს მარცვალს ჭოჭიან მიწაზე უყრიან). ტრახახობდა გეურქოვი 50 ტონა სილოსის ჩადებაზე, რაც ნამდვილად დამპალ-დაობებულ მასად ჩაუყრიათ ორმოში და არათუ საკვებად არ ვარგა, დღეს გადამყრელიც კი ვერ უშოვიათ. რომ ეს სიბინძურე აქაურობას მოაშორონ.

ასე გაიყვანა ზამთარი გეურქოვმა, მაგრამ თვით გეურქოვი ველარ გამოიყვანა მის მიერ უპატრონოდ, უსაკვებოდ და მოუვლელად მიტოვებულმა ფერმამ, რომელშიც დღესაც უდანაშაულოდ იტანჯება ყველა ჯილაგისა და სახელწოდების პირუტყვი.

გეურქოვი კი ლაპარაკობს!

ზაკხადანი

13152

ნახ. ირ. გორდელაძისა

აბა, წარმოიდგინეთ ფეხსაცმლის მკერავის ცოლი სხვა-
თან იკერავდეს ტუფლებს, მეღვინე — თავისი ოჯახის საჭი-
როებისათვის სხვა სარდაფში ყიდულობდეს ღვინოს, ან სასა-
დილოს გამგე სხვა სასადილოში მიეშურებოდეს გემრიელი
კერძების საქმელად!... ასეთ შემთხვევაში ძნელი აღმოსაჩენი
არ არის „ძაღლის თავი“. — „ფინაჩია“, ეტყობა, ის ფეხსაც-
მლის მკერავი, და თუ სხვას იოლად ატყუებს, ცოლის მტერი
ხომ არ გახდება? იმ მეღვინესა და სასადილოს გამგეს სხვი-
სი კუჭი არაფრად მიაჩნიათ, თორემ სულელები ხომ არ არიან
თავიანთი სტომაქი წყალნარევი, ან უკეთ, ღვინონარევი
წყლითა და უგემური კერძებით ამოივსონ!

მაგრამ აი, ოჯახს დასჭირდა სკამები, ან შიფონერი,
ან წიგნის კარადა, ან ტახტი, ან სხვა რამ ავეჯი. ამაზე იოლი
რა არის, თუ მით უფრო ამ ოჯახის უფროსი... ავეჯის და-
მაშადებელი საწარმოს ხელმძღვანელი.

თქვენ ასე გგონიათ? ცდებით.
მოვისმინოთ ასეთი პირობითი დიალოგი პირობითად
აღებულ ოჯახში:

— ალფესი, ბეჩა. გაივსო ბავშვების წიგნებით ოთახი,
ერთი კარადა არ უნდა შევიძინოთ?

— კარადაც გვინდა და ბუფეტიც... გამოზაფხულდეს
და გაგიშვებ შენ და სონიჩქას რიგაში...

— ნახე, ანიჩქამ სულ რიგისა და რუმინული ავეჯით
მორთო ოჯახი, ბრწყინავს ყველაფერი, ისეთი „პალიროვკა“
აქვს...

— გაგიშვებ, გაგიშვებ რიგაში... ჩამოიტან. ახლა მო-
მეშვი, თათბირი მაქვს დანიშნული.
და დგება ალფესი, იხურავს ქუღს, მიეჩქარება თათ-
ბირზე.


ვინ გგონიათ თქვენ ეს ალფესი? ავეჯეულობის საწარ-
მოს ხელმძღვანელი, საწარმოსი, სადაც ბუფეტებსაც ამზადებენ,
წიგნის კარადებსაც, სკამებსაც და ყველა ასორტიმენტის
ავეჯს, მაგრამ...

კარგად იყოს ეს პირობითად აღებული ალფესი და შე-
ვებით რეალურად არსებულ პატივცემულ დავით გორგია-
შვილს. ჩვენ, ცხადია, ვერ ვიტყვით, ჰქონდა თუ არა ადგი-
ლი შემომოყვანილი დიალოგის მსგავსს მის პატივცემულ ოჯახ-
ში, მაგრამ დავითი რომ არამცაოდ არ მოსურვებს მისი
ქარხნის ნაწარმის ყიდვას ავეჯეულობის მაღაზიაში, ეს ცხა-
დია. კაცი ამხელა წარმოების დირექტორია, და უეჭველად
გააჩნია იმდენი ქუჭა, რომ ფული ტყუილბრალად წყაღში
არ გადაყაროს. ნაკლები ქუჭის პატრონი არც მისი მთავარი
ინჟინერი ბ. სიქინავა გახლავთ. მათ მიერ გამოშვებული ბუ-
ფეტები, ტანსაცმლის კარადები, მრგვალი სასადილო მაგი-
დები ისე ულაზათოა, ისე უშნო, გვეგონება ნაჯახით გამოუთ-
ლიათო. ხის მასალის შრობის ტექნოლოგიის დაუცველობის
გამო, ამ ავეჯს მრავალ ადგილას დაუღია პირი, იგი მალე
ჰკარგავს თავის პირვანდელ ფორმას.

თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველო-
ბის განყოფილების კუბიშვილის სახელობის ხისდამამუშავებელი
ქარხნის ეს ავეჯი ამიტომაც არ საღდება. შეიძლება კუმბეტ-
რობით გაიყიდოს...

დ. გორგიაშვილს ან ბ. სიქინავას შეიძლება რიგაში
არ მოუხდეთ ოჯახისათვის ავეჯის შეძენა. იქნებ ნაკლებ ხარ-
ჯში გამოვიდნენ და ბათუმის ფანერის ქარხნის ნაწარმი იყი-
დონ ხელსაყრელად! ეს უდიდესი საწარმო ხომ ყველა საჭი-
რო პირობითაა უზრუნველყოფილი, რომ კარგი ხარისხის
პროდუქცია გამოუშვას. მაგრამ ბათუმელი მეავეჯეები არა-
ნაკლებ ირცხვენენ თავს უხეირო ნაწარმით. ქარხნის ტექნი-
კური კონტროლის განყოფილების უფროსი ე. ჩიხლაძე ბევრს
ცდილობს I ხარისხად გაასაღოს ქარხნის წუნი, მაგრამ ვინ
დაუჯერებს? ბუფეტების დიდი პარტია მან I ხარისხად ჩაა-
ვალა, მაგრამ... შემოწმებით გამოირკვა, რომ ყველა ამ „პირ-
ველი ხარისხის“ ბუფეტს ხელახლა სჭირდება დამუშავება.
გახსოვთ, ალბათ, ერთმა თავის უხეირო ნახატს ქვეშ რომ
მოაწერა: — „ეს ლომი არის და არა ძაღლიო“... ამ მხატვრის
როლში გამოდის სტალინის ხე-ტყის კომბინატის დირექ-
ტორი ფ. ზასევეცი. მის მიერ I ხარისხად ჩათვლილი 80 ნა-
ხევრადრბილი სკამიდან — 56 მხოლოდ II ხარისხად იქნა მი-
ღებული. ხოლო 8 — დაწუნებული. ეს უცაბედი შემოწმებით,
მაგრამ რამდენი ვააპარის მანამდე წუნი I ხარისხად? ასეთ
უხეირო ავეჯს უშვებს რესპუბლიკის ზოგი სხვა საწარმოც.
გვაპატიონ ამ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, რომ „ნიანი-
გი“ მათ ვერ გამოადგათ თავიანთი პროდუქციის სასურველი
რეკლამისათვის.

საიპაპი



95
28/11
550

- 1) „იხინი დაეშენენ მთებიდან“ — ამ კინოსურათს საგზაო ინსპექტორიც სიამოვნებით უყურებდა...
- 2) იხინი დაეშენენ მთებიდან... მაგრამ, რუსთაველის პროსპექტზე საბარგო მანქანის გამოჩენამ...
- 3) შეაყრებლებმა ინსპექტორის ინსტიტუტი მოქმედება გაამართლეს. მართლაც და რა საჭირო იყო, რომ ამ კარგი სურათის რეჟისორმა ქალაქის მოძრაობის წესები დაარღვია?..

ჩიტაკოპსკონდენტი

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, თ. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниваги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

გამომც. № 5, ხელმოწ. დასაბ. 14/III-1955 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5, ნახ. ფურც. 187. ზარია ვოსტოკას* სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შეკვ. № 421 უფ 02501 ტირ, 25.000



ნახ. თ. ჯიშკარიანისა

პატრიოტი მამა და მისი გულის გემხარაბელი შვილი

— ისე უნ ვაიხარე, შვილო, როგორც უნ ჩემი გული ვაიხარე, — ნამდვილი პატრიოტი მეზრდები, შვილო. ნამდვილი პატრიოტი უნ სიტყვა აღსახე იყო ჩვენი ქვეყნის სიუვარულით. უანწიც მარჯვედ გქონდა ამართული. ნამდვილი პატრიოტი უნ სიტყვა აღსახე იყო ჩვენი ქვეყნის სიუვარულით. უანწიც მარჯვედ გქონდა ამართული.